N 01/8584
03/11/2022

8584-01-2-202211031722

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“
ტექნიკურ დირექტორს
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
დავით ხიდეშელს

მის. ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ., N 6

ბატონო დავით,

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს“ შორის 2022 წლის 05 მაისის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N0300/30/099 ხელშეკრულება, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

აღნიშნული ხელშეკრულების დანართი N1 - ტექნიკური დავალების მე-3 მუხლის შესაბამისად, „სამუშაოების დაწყებამდე მიმწოდებელმა აუცილებლად უნდა დაამუშაოს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია მშენებლობის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.“

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2022 წლის 12 ივლისის წერილით გეცნობათ თქვენ მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა წარმოების პროექტის ხარვეზების შესახებ. აღნიშნული წერილით მოთხოვნილ იქნა დეტალური სამუშაოთა წარმოების პროექტის წარმოდგენა, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა სამუშაოების სწორი ორგანიზება და პროექტის განხორციელება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

2022 წლის 2 აგვისტოს კიდევ ერთხელ მოგმართეთ აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნით, თქვენ მიერ მხოლოდ 2022 წლის 12 აგვისტოს იქნა წარმოდგენილი (კომპანიაში რეგისტრაციის №10017/01 12.08.22წ.) „სამუშაოთა წარმოების პროექტის კორექტირებული ვარიანტი“, რომელიც განიხილა კომპანიის შესაბამისმა სამსახურებმა და 2022 წლის 29 სექტემბრის N01/7425 წერილით, მითითებულ იქნა შენიშვნები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ასევე, განგესაზღვრათ წერილის ჩაბარებიდან 10 (ათი) კალენდარული დღე სრულყოფილი სამუშაოთა წარმოების პროექტის წარმოსადგენად, ხოლო მისი შეთანხმებიდან 2 (ორი) დღის ვადაში დაგეკისრათ სამუშაოების წარმოების დაწყების ვალდებულება. მიუხედავად აღნიშნულისა, თქვენი მხრიდან რეაგირება არ მომხდარა.

ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის, ხოლო მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 98 დღის შემდეგ, კვლავ არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი და სამუშაოების წარმოებისთვის ვარგისი სამუშაოთა წარმოების პროექტი. დღეის მდგომარეობით გასული არის ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადის მესამედი ნაწილი, შესაბამისად, მოცემული გარემოებების გონივრული შეფასებით, შემსყიდველისთვის ცხადია, რომ ხელშეკრულების შესრულება ვადაში თქვენი მხრიდან ვერ მოხდება.

თბილისის მეტროპოლიტენი დედაქალაქის სატრანსპორტო სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ მეტროს სადგური ვარკეთილი მეტროს ხაზის ბოლო სადგურია და ყოველდღიურად მგზავრთა დიდი რაოდენობის გატარებას უზრუნველუყოფს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი რეაბილიტაციის ვადები ზედმიწევნით იყოს დაცული. მოცემულ შემთხვევაში

კი, ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის ვადის გასვლის შემდეგაც სამუშაოები საერთოდ არ დაწყებულა, რაც არსებითად აფერხებს მგზავრთა მომსახურებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ 2022 წლის 3 ნოემბრიდან ცალმხრივად წყვეტს 2022 წლის 05 მაისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N0300/30/099 ხელშეკრულებას, ამავე ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ შპს „სამშენებლო კომპანია მამისონისთვის“ გადახდილი არის ავანსი 3 828 000 (სამი მილიონ რვაას ოცდარვა ათასი) ლარის ოდენობით. თქვენ მიერ N0300/30/099 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შეუსრულებლობის გათვალისწინებით, გეკისრებათ გადახდილი ავანსის უკან დაბრუნების ვალდებულება, წინამდებარე წერილი ჩაბარებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, კომპანიის შემდეგ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით: სს თიბისი ბანკი, ა/ა GE67TB7931836070100001, (ბანკის კოდი: TBCBGE22).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ დაუყოვნებლივ მიმართავს გარანტიის გამცემ სუბიექტებს, სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ და სს „ტერაბანკს“ მითითებული ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული საავანსო და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიების გამოთხოვის მოთხოვნით.

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ მიმართავს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავი სია) რეგისტრაციის მიზნით.

პატივისცემით,

LLC Tbilisi Transport Company

Digitally signed by LLC Tbilisi Transport Company
Date: 2022.11.04 14:53:45 +04'00'

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი